



ბიოსაწვავი—საწვავი, რომელიც მიიღება მხანაჩაებისგან ან სოფლის მეურნეობის, კომპოსიუდი, ინდუსტრიული და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან

ბიოსაწვავად გამოყენებული ბიომასის ხუთი ძირითადი წყაროა:

- * ხე - სატყეო მეურნეობიდან ან გადამამუშავებელი წარმოებიდან;
- * ენერგეტიკული მცენარეები - მაღალი მოსავლიანობის მქონე მცენარეები, რომლებიც ითესება სპეციალურად ენერგეტიკული მიზნებისათვის.
- * სოფლის მეურნეობის ნარჩენები - მცენარეული და ცხოველური.
- * საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საკვების წარმოების და გამოყენების დროს მიღებული ნარჩენები.
- * სამრეწველო ნარჩენები

ამ ხუთი წყაროდან მიიღება 3 სახის ბიოსაწვავი: *მყარი, თხევადი და აირადი ბიოსაწვავი*

ბიომასის ენერჯია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, რომლებიც მძვინვარეობს ენერგეტიკული გადამამუშავების მეშვეობით

სოფლის მეურნეობის ნარჩენი ბიომასა განსაკუთრებით ღირებულია. მისი თბოუნარიანობა ქვანახშირის თბოუნარიანობას აღემატება და წარმატებით გამოიყენება სათბობად ბევრ განვითარებულ ქვეყანაში. ენერგეტიკული მიზნებით გამოყენებადი ნარჩენი მიიღება როგორც სოფლის მეურნეობის ერთწლიანი (სიმინდი, მზესუმზირა, ქერი, ლობიო, ხორბალი, შვრია ა შ.), ასევე მრავალწლიანი მცენარეებისგან (გაზის ნასხლავი, ხეხილის ნარჩენები (ვაშლი, მსხალი, ატამი), თხილის ნარჩენები, დაფნა).

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, ნარჩენების დაახლოებით 35% შეიძლება იქნას ათვისებული ისე, რომ არ დაზიანდეს მიწის ფენა და საფრთხე არ შეექმნას მცენარეების შემდგომ ზრდას.

რაც შეეხება თბოუნარიანობას. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კულტურას განსხვავებული თბოუნარიანობა ახასიათებს. მაგალითად, წალამის თბოუნარიანობა არის 18.4 მჯ/კგ, თხილის ნაჭუჭის 18,7მჯ/კგ, დაფნის 19 მჯ/კგ, ხორბლის 17 მჯ/კგ, სიმინდის 17.7 მჯ/კგ, მზესუმზირის 15.8 მჯ/კგ და ა.შ.



1ტონა წალამს შეუძლია ჩაანაცვლოს დაახლოებით 3,0 მ3 შეშა. შედარებისთვის, 30% ტენიანობის მქონე შეშის (ბაფხულის განმავლობაში დასაწყობებული შეშა) თბოუნარიანობაა 12.22 მჯ/კგ, და შეესაბამება ნახერხის ბრიკეტების თბოუნარიანობას.

საქართველოში ვენახების ფართობების საორიენტაციო მაჩვენებელმა 2014 წელს სულ 56 ათას ჰა-ს მიაღწია. ვენახების 65-70 % კახეთშია კონცენტრირებული. ვენახის 1 ჰექტარზე ნასხლავი 2,9 ტონას შეადგენს. საქართველოში, როგორც წესი ვაზის ნასხლავი ვენახიდან გამოტანის შემდგომ იწვება, თუმცა სხვა ქვეყნებში სადაც განვითარებულია მევენახეობა, ვაზის ნასხლავი ფართოდ გამოიყენება თანემედროვე გათბობის სისტემებში, როგორც საწვავი საზოგადოებრივი და კერძო შენობების გათბობისთვის. ტიპური 2 სართულიანი საბავშვო ბაღის გათბობისათვის საჭიროა დაახლოვებით 13-15 ტონა წალამი.

წალამმა უნდა გაიაროს გადამუშავების სხვადასხვა ეტაპი იმისათვის, რომ გახდეს ალტერნატიული განახლებადი ენერგეტიკული წყარო თანამედროვე გათბობის სისტემისთვის



გასხვლა



შეგროვება, ტუვებად შეგვრა



ტრანსპორტირება



შენახვა-დაქუცმაცება



ტრანსპორტირება მომხმარებელამდე

2019-2020 წწ თელავის მუნიციპალიტეტის 2 საპილოტე საბავშვო ბაღში მოეწყობა წალამზე მომუშავე თანამედროვე გათბობის სისტემა. წალამი-ალტერნატიული, სუფთა, განახლებადი ადგილობრივი ენერგორესურსია, რომელიც ჩაანაცვლებს ამჟამად ფართოდ მოხმარებულ ბუნებრივ გაზსა და შეშას. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას ექნება როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი ეფექტი.



1 ტ წალამი



= 550 მგ



= 3,0 მგ



0 კგ

1045 კგ

2745 კგ

პროექტი „ ბიომასის ენერჯია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული გადანაცვლებები მერების შეთანხმების ხელმოწერათვის“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო (www.eecgeo.org) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.